

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

„—30—„-12— „ 2014 წელი

2 ეგზ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 36/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

<i>აუდიტის მაშტაბი.....</i>	<i>3</i>
<i>დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ</i>	<i>3</i>
<i>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</i>	<i>3</i>
<i>აუდიტორის პასუხისმგებლობა.....</i>	<i>4</i>
<i>პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ</i>	<i>4</i>
<i>პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....</i>	<i>7</i>
<i>დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>7</i>
<i>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</i>	<i>7</i>
<i>აუდიტორის პასუხისმგებლობა.....</i>	<i>7</i>
<i>პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ</i>	<i>8</i>
<i>პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>17</i>
<i>მნიშვნელოვან საკითხთა ბაზგასმა.....</i>	<i>17</i>
<i>შესყიდვების დაგეგმვა-შესრულება</i>	<i>17</i>
<i>შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების მდგომარეობა</i>	<i>18</i>
<i>ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა</i>	<i>18</i>
<i>ანგარიშგების ფორმები.....</i>	<i>21</i>

აუდიტის მაშტაბი

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასი ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსირებადი ორგანიზაცია-დაწესებულებების ფინანსური და მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „ქობულეთის გამწვანებისა“ და ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების 2013 წლის ბალანსების, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, ბიუჯეტში მიუმართავი თანხების ოდენობა 21.1 ათას ლარს შეადგენს, რაც აქტივების განკარგვის არაპროდუქტიულობაზე მიუთითებს.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხულია 211,5 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 96 პროცენტია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი შემოღებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილებით, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ახდენს ხელშეკრულებების გაფორმებას და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 1257 ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, რომელთა შესაბამისადაც დასუფთავების მოსაკრებლის სახით გადახდას დაექვემდებარა 223,1 ათასი ლარი. ფაქტიურად 2013 წელს აღნიშნული პირების მიერ გადახდილია 202,0 ათასი ლარი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხასთან შედარებით 21,1 ათასი ლარით ნაკლები. 9,5 ათასი ლარი ჩარიცხულია წინა წლებში არსებული დავალიანების გადახდის მიზნით. აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული ცალკეული გადამხდელის მიერ მოსაკრებლის გადახდისა და დავალიანების აღრიცხვის მექანიზმი. ამასთან, ტერიტორიის დასუფთავებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები, მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში ითვალისწინებს პირგასამტეხლოს დარიცხვასაც, რაც აუდიტის პერიოდში არ არის აღრიცხული.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანაგადახდის სახით გადახდილია 10047,5 ათასი ლარი, ხოლო სესხის მომსახურების სახით - 2427,2 ათასი ლარი. ამასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ქობულეთის წყალინარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2010-2011 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები ქობულეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. გაფორმებული 4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 16948,2 ათასი ლარით განისაზღვრა, საიდანაც მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა 10047,5 ათას ლარს შეადგენს, რაც მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 59,3 პროცენტია. ამასთან, გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, პროექტის განხორციელება მთლიანად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უფლებამოსილებაა.

მუნიციპალიტეტის მიერ თანამონაწილეობის სახით გადახდილი თანხებიდან 5647,7 ათასი ლარი გადახდილია მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო 4399,8 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის ანგარიშიდან არის დაფარული. ამასთან, სესხის სარგებლობის საპროცენტო თანხა 6463,0 ათას ლარს შეადგენს.

აუდიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2013 წელს სესხის ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით გადახდილია 274,0 ათასი ლარი, ხოლო პროცენტის სახით 447,4 ათასი ლარი. ამასთან, ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დასრულებულია სამი - ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურისა და ცეცხლაური-ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები -1065,5 ათასი ლარი, ქ. ქობულეთში მეგობრობის ქუჩის სანიაღვრე კანალიზაციის სარეაბილიტაციო და სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები - 916,2 ათასი ლარი და დ. აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები -5761,3 ათასი ლარი, ხოლო ქალაქის წყალინარების სამუშაოები, რომლის განხორციელებაც გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად 2010 წლიდან იწყება და რისთვისაც მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ჩათვლით გადახდილია 920,3 ათასი ლარი, არ არის დასრულებული. ამასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

3. ა(ა) იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბალანსზე არასრულად არის აღრიცხული მის გამგებლობაში მყოფი ძირითადი აქტივები.

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბალანსზე, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება 2586,4 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები. მათ შორის, მიწა - 420,1 ათასი ლარის და შენობა-ნაგებობა - 2130,1 ათასი ლარის ღირებულებით. ამასთან, სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღის შენობა, გაერთიანების სტრუქტურაში ასახვის მიუხედავად, ირიცხება მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე 19,7 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

4. არასწორად არის შედგენილი ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ 2013 წელს ძირითადი აქტივების იჯარით გაცემისათვის მიღებული აქვს 30,5 ათასი ლარი, რაც 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციით მიკუთვნებულია დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ მოგებაზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, იჯარით მიღებული შემოსავლის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია არასწორია და ექვემდებარება კორექტირებას.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ჩატარებული სამუშაოების შესრულებისას ადგილი აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს. ამასთან, სამუშაოების შესრულება ბუნებრივი რესურსების არაკანონიერი გზით მოპოვების შესაძლო რისკზე მიუთითებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 28 მაისის N101 განკარგულების შესაბამისად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „გზას“ შორის 2013 წლის 4 ივნისს, გამარტივებული შეყიდვის ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროს ნაპირსამაგრი-საყრდენი კედლის, სავალი ნაწილის და პარაპეტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 597.3 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოთა შესრულების ვადა 2013 წლის 15 ივლისამდე პერიოდით განისაზღვრა.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების წესის შესაბამისად, შესაძლებელი იყო წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება ხელშეკრულების ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „გზა“ რეგისტრირებული იყო კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში, კანონმდებლობით¹ დაშვებული ნორმის შესაბამისად, 149,3 ათასი ლარის საბანკო გარანტიის საფუძველზე, 2013 წლის 7 ივნისს შპს „გზას“ წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადაერიცხა საბანკო გარანტიაზე 2-ჯერ მეტი, 298,6 ათასი ლარი, ანუ სახელშეკრულებო ღირებულების 50 პროცენტი.

2013 წლის 9 აგვისტოს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 11,3 ათასი ლარით და 585,9 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მიხედვით, ავანსად გადარიცხული თანხიდან დაბრუნებას დაექვემდებარა 5,7 ათასი ლარი, რაც არ განხორციელებულა².

ხელშეკრულების შესრულების კონტროლის(ინსპექტირების) ჯგუფის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ხელშეკრულების მიმდინარეობისას, 2013 წლის 2-4 ივლისს განვითარებული შტორმული მოვლენების შედეგად, ზიანი მიადგა ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებს. კერძოდ: 2013 წლის 4 ივლისს

¹ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26² მუხლის მე-6 პუნქტი

² შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 4 ივნისის N105 ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მოთხოვნები.

შედგენილი ზარალის განსაზღვრის აქტის შესაბამისად, ტალღების მიერ გადაადგილებულად, პრაქტიკულად გამოუსადეგრად ჩათვალა სამშენებლო ობიექტიდან სანაპიროს გასწვრივ შემოტანილი 2079კუბ.მ ხრეშოვანი მასალა. აღნიშნულის საფუძველზე, ხელშეკრულებაში 2013 წლის 9 აგვისტოს განხორციელდა ცვლილება, რითაც ხელშეკრულებაში დამატებით გათვალისწინებული იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები 21,2 ათასი ლარის ღირებულებით, რომელიც გათვალისწინებდა დამატებით 2079 კუბ.მ ხრეშოვანი მასალის შეზიდვას სანაპირო ზოლში.

სამუშაოთა შესრულების შესახებ შპს „გზის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის, ქვიშა-ხრეშის მოპოვების ადგილიდან³, დამუშავებულია და სანაპირო ზოლში შეტანილია სულ 7079 კუბ.მ ქვიშა-ხრეში, რაც 1946 კუბ.მ-ით მეტია შპს „გზისთვის“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის N715 განკარგულებით გამოყოფილ რაოდენობაზე. ამასთან, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სხვა ლიცენზია ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ჩატარებული სამუშაოების შესრულება ბუნებრივი რესურსების არაკანონიერი გზით მოპოვების შესაძლო რისკზე მიუთითებს.

2. სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვისა და საკითხებისადმი არაერთგაროვანი მიდგომის ფაქტებს, რაც შესაძლოა 326,0 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის არაეკონომიურად განკარგვასთან იყოს დაკავშირებული.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2013 წლის 18 ივნისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁴, ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩის სავალი ნაწილის (ტროტუარების ჩათვლით) და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 745,1 ათასი ლარით განისაზღვრა. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის დასადასტურებლად მოთხოვნილი იქნა საკუთრებაში, ან მფლობელობაში მინიმუმ 7 დასახელების 9 ერთეული სხვადასხვა სახის ტექნიკის არსებობა. ამასთან, პრეტენდენტს 2011-2013 წლებში შესრულებული უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 5 მილიონი ლარის ოდენობით. ამ პერიოდში, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონოდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები

³ სოფელი ქვედა სამება მდინარე კინტრიში

⁴ SPA 130013280

ღირებულებით არანაკლებ 500,0 ათასი ლარის. ამასთან, გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, უფლებამოსილი პირების ხელწერებითა და ბეჭდებით დამოწმებული ატვირთული უნდა ყოფილიყო სისტემაში.

შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „გზამ“, რომლის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური საშუალებებიდან, ტენდერის გამოცხადების მომენტისათვის მის მფლობელობაში, ან სარგებლობაში არ იყო „ბულდოზერი“ და „დამტვირთავი“, ამასთან სისტემაში არ იყო ატვირთული გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „გზის“ გამოცდილება და ტექნიკური შესაძლებლობები დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა.

✓ ანალოგიური მდგომარეობაა 2013 წლის 1 მაისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის⁵ მოთხოვნებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, სატენდერო კომისიის მიერ ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზ. N141-ის მოპირდაპირედ მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადების შესაბამისად, პრეტენდენტს 2010-2013 წლებში უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, სკვერების, მოედნების, შადრევნების მშენებლობა, საერთო ღირებულებით არანაკლებ 1 მილიონი ლარისა. ამასთან, ამ პერიოდში შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონოდა შადრევანის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ 100,0 ათასი ლარი, ხოლო სკვერებისა და მოედნების სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ 200,0 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნულ პირობებში, 2013 წლის 31 მაისს, შესყიდვაში მონაწილე ერთადერთ პრეტენდენტთან, შპს „გზა XXI“, გაფორმდა ხელშეკრულება 458,4 ათასი ლარის ღირებულებით სამუშაოს შესრულებაზე.

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2013 წლის 19 აპრილს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁶, ქ. ქობულეთში რუსთაველის ჩიხი 3-ში სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 2981,9 ათასი ლარით განისაზღვრა. სატენდერო დოკუმენტაციის

⁵ SPA 130009859

⁶ SPA130008924

შესაბამისად, პრეტენდენტს 2010-2013 წლებში შესრულებული უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები (შენობა-ნაგებობების მშენებლობა) საერთო ღირებულებით არანაკლებ 9 მილიონი ლარის ოდენობით. ამასთან, გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, უფლებამოსილი პირების ხელწერებითა და ბეჭდებით დამოწმებული ატვირთული უნდა ყოფილიყო სისტემაში.

შერჩევა - შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის მიერ საუკეთესო ფასის შემომთავაზებელი პრეტენდენტის შპს „კავკასუსინვესტი“ სუბკონტრაქტორის, შპს „ჯორჯიან ინჟინირინგის“ მიერ შესრულებული სამუშაოები, შეუსაბამოდ ჩაითვალა, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ, შენობა-ნაგებობების მშენებლობის ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოებთან და სატენდერო კომისიის 2013 წლის 19 ივნისის N51/3 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „კავკასუსინვესტი“ დისკვალიფიცირებული იქნა. აღსანიშნავია, რომ ამავე სატენდერო კომისიის მიერ, ანალოგიური მოთხოვნით გამოცხადებულ ტენდერში⁷ შპს „კავკასუსინვესტი“ სუბკონტრაქტორის, შპს „ჯორჯიან ინჟინირინგის“, ზემოთ აღნიშნული სამუშაოები, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობაში ჩაითვალა.

მომდევნო პრეტენდენტის შპს „ქეთურინას“ სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის მიერ დამაკმაყოფილებლად შეფასდა, თუმცა შპს „ქეთურინას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ მისი კონტაქტორია თურქეთის რესპუბლიკის ფირმა „CAME INSAAT“-ი, რომლის მიერ, ასევე თურქეთის რესპუბლიკის ფირმა „C.R.J. Kuyumculuk Ins. SanTic“-ის დაკვეთით შესრულებულია მრავალბინიანი სახლის მშენებლობის სამუშაო, რაც სატენდერო განცხადებით განსაზღვრული მოთხოვნის⁸ საწინააღმდეგოდ, სატენდერო კომისიის მიერ დამაკმაყოფილებლად შეფასდა. ამასთან, შპს „ქეთურინას“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შპს „CAME INSAAT“-ის ქვეკონტრაქტორობასთან დაკავშირებით, მეორე მხარის მიერ არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ პრეტენდენტების სატენდერო წინადადების ფასებს შორის სხვაობა 324,0 ათას ლარს შეადგენს.

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2013 წლის 27 ივნისს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის წყალსადენისათვის საერთაშორისო სტანდარტის სასმელი წყლის 972 გრძივი მეტრი პოლიეთილენის მილისა და 74 ცალი ელექტრო ქუროს შესყიდის შესახებ.

⁷ SPA 130008922

⁸ სატენდერო მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები შესრულებული.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 58,0 ათასი ლარით განისაზღვრა. სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის შესაბამისად, პრეტენდენტს უნდა წარმოედინა სასმელი წყლის პოლიეთილენის მილის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 15%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა დაესაბუთებინა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა. ამასთან, სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებული იყო მილისა და ელექტრო ქურის ხარისხის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის ჩატარება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ, რაზედაც უნდა წარმოედგინა შესაბამისი დასკვნა. ასეთი დასაბუთებისა და დასკვნების წარმოუდგენლობა იწვევდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

სატენდერო კომისიის მიერ 2013 წლის 4 ივლისს განხილული იქნა, საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „ჯეოტურანის“ სატენდერო წინადადება და მას ფასების ცხრილისა და მისაწოდებელი საქონლის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისათვის მიეცა 3 სამუშაო დღე, რაც პრეტენდენტის მიერ ვერ იქნა შესრულებული და მას სატენდერო კომისიის 2013 წლის 16 ივლისის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცა დისკვალიფიკაცია. ამავე სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოწვეული იქნა მომდევნო პრეტენდენტი შპს „ზუკა“ (რომლის სატენდერო წინადადების ფასი 2,0 ათასი ლარით მეტია შპს „ჯეოტურანის“ სატენდერო წინადადების ფასზე), რომელსაც ასევე 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოედგინა ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები. სისტემაში და საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ შპს „ზუკას“ მიერ წარდგენილი მილების სერტიფიკატში დაფიქსირებული სტანდარტი არის თურქული და არა საერთაშორისო სტანდარტი⁹, რომლის ოფიციალური ვერსია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ გააჩნია, ხოლო რაც შეეხება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის საექსპერტო დასკვნას, ის აუდიტის პერიოდში ვერ იქნა მოწოდებული.

მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიის 2013 წლის 6 აგვისტოს N89/4 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებით შპს „ზუკას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დამაკმაყოფილებლად ჩაითვა და მასთან 2013 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება¹⁰ 47,5 ათასი ლარის ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული პრეტენდენტების სატენდერო წინადადების ფასებს შორის სხვაობა 2.0 ათას ლარს შეადგენს.

⁹ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 19 ივლისის N5002846613 წერილი

¹⁰ SPA 130014057

მიგვაჩნია, რომ შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, ზემოთ მოყვანილი სატენდერო მოთხოვნები ზღუდავს კონკურენციას, ამასთან სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების მიმართ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიდგომა არაერთგაროვანია, რაც შეიძლება 326,0 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის არაეკონომიურ განკარგვასთან იყოს დაკავშირებული.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შეუსრულებლობის პირობებში, არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს სახით 196,0 ათასი ლარის დარიცხვის შესახებ, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

2013 წლის 1 ივლისს, შპს „გზასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება¹¹ 745,1 ათასი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა შესრულების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღით, ანუ 2013 წლის 10 აგვისტომდე პერიოდით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2013 წლის 31 აგვისტომდე პერიოდით განისაზღვრა.

2013 წლის 9 აგვისტოს, ანუ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ბოლო დღეს, განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 45,3 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოთა შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა შესაბამისად 2013 წლის 16 აგვისტომდე და 7 სექტემბრამდე. ვადის გაგრძელებას საფუძვლად დაედო უამინდობა. ქ. ქობულეთის საზღვაო-მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, სამუშაოთა შესრულების პერიოდში ნალექი აღინიშნა 7 დღის განმავლობაში, რაც ქობულეთის კლიმატური პირობების გათვალისწინებით ფორს-მაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება. შესაბამისად, სამუშაოთა ვადის გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით 42,0 ათასი ლარის დარიცხვის თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

ხელშეკრულების 6.5 ქვეპუნქტის შესაბამისად „შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტის (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“) დადებითი დასკვნის საფუძველზე და შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე“. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შპს „გზამ“ ვერ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, იგი წარმოდგენილი

¹¹ N122. 01.07.2013. SPA 130013280

იქნა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ანუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 22 დღეში. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საექსპერტო დასკვნის წარმოდგენილობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, განხილული უნდა ყოფილიყო როგორც 11.1 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა და უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა, რაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით 154,0 ათას ლარს ($699790 \cdot 1\% \cdot 22$) შეადგენს.

4. აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შემთხვევა, როცა მიმწოდებლის წერილებისა და შესაბამისი სამსახურების არაარგუმენტირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გაგრძელებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები. შედეგად მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით არ იქნა დარიცხული 69,9 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „კავკასუსინვესტს“ შორის 2013 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება¹², ქ. ქობულეთში მე-5 საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 168,9 ათასი ლარით, ხოლო დასრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღით, ანუ 2014 წლის 16 თებერვლამდე პერიოდით განისაზღვრა.

ხელშეკრულებაში 2014 წლის 17 თებერვალს განხორციელებული ცვლილების შედეგად, სამუშაოთა შესრულების ვადა 2014 წლის 1 აპრილამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი - 2014 წლის 1 ივნისამდე გაგრძელდა. ხელშეკრულების ცვლილებას საფუძველად დაედო შპს „კავკასუსინვესტის“ წერილი¹³, სამუშაოთა დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა უამინდობამ განაპირობა. წერილს თან ერთვის ქ. ქობულეთის მეტეოროლოგიური საგუშაგოს მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2013 წლის 18 დეკემბრიდან 2014 წლის 10 თებერვლამდე პერიოდში, ანუ 54 კალენდარული დღიდან მხოლოდ 17 დღის განმავლობაშია დაფიქსირებული წვიმა, რაც სამუშაოთა შესრულების ვადის 44 კალენდარული დღით გაგრძელების საფუძველად არ გამოდგება. ამასთან აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვადის გაგრძელების მომენტისათვის მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა 32,2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ანუ მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების მხოლოდ 19 პროცენტი.

¹² SPA 130023609

¹³ N12-15/497. 14.02.2014

ხელშეკრულებაში განხორციელებული მეორე ცვლილება ეხება ხარჯთაღრიცხვის პარამეტრების შეცვლას, რომელზედაც აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის ავტორთან ცვლილების შეთანხმების შესახებ. შესაბამისად ამ შემთხვევაში არ არის შესრულებული კანონმდებლობის¹⁴ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დამკვეთის დავალებით სამშენებლო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება აქვს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტის განმახორციელებელს საავტორო უფლების დაცვით.

ხელშეკრულებაში განხორციელებული მესამე ცვლილებით, ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხელისშემშლელი მიზეზების გამო, სამუშაოთა შესრულების ვადა 2014 წლის 25 აპრილამდე გაგრძელდა, თუმცა რა სახის ხელისშემშლელი გარემოებებია და რა კავშირშია ისინი შპს „კავკასუსინვესტის“ მიერ ვალდებულების თავისდროულ შესრულებასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება.

ამრიგად, მიმწოდებლის წერილებისა და შესაბამისი სამსახურების არაარგუმენტირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გაგრძელებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები. შედეგად, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით არ იქნა დარიცხული 69,9 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

5. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზის შედეგად, აუდიტის პერიოდში ადგილი აქვს არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 82,2 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფაქტებს, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის¹⁵ შედეგების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 თებერვალს შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავების მომსახურების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 1235,9 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 645,3 ათასი კვ.მ ფართობის დაგვა-დასუფთავებას, ქალაქ ქობულეთისა და დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილების აღკვეთას, მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფას, ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად ირკვევა:

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანაბართვო პირობების“ 64 -ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁵ SPA 130000297

- გაუვნებელყოფილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1100 სული მაწანწალა ცხოველი, რისთვისაც გადახდილია 18,9 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი;

- ნაგავსაყრელის მოვლისათვის ყოველთვიურად გადახდილია 4,4 ათასი ლარი, სულ 48,5 ათასი ლარი, თუმცა რა სამუშაოებს ითვალისწინებდა ამ მიმართებით ხელშეკრულება და რეალურად რა სამუშაოები შესრულდა ცნობილი არ არის;

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილი აქვს არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 67,4 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფაქტებს.

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის¹⁶ შედეგების გათვალისწინებით, 2013 წლის 11 აპრილს, შპს „გლობუსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 38,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების ცხრილის შესაბამისად, ბეტონის ფილების, რკინის კონსტრუქციების(ნავეესი), რეკლამებისა და ბილბორდების დემონტაჟის სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია ობიექტების ფართობების შესაბამისად და ტენდერის შედეგების გათვალისწინებით აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 14,8 ათასი ლარით განისაზღვრა.

სამუშაოთა შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების(ფორმა N2) შესაბამისად, მიმწოდებელზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია არა დემონტირებული ობიექტის ფართობის, არამედ ამ სამუშაოს შესასრულებლად გახარჯული კაც/დღეების შესაბამისად, რის გამოც ვერ დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების სახით გადახდილია 1,2 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“ -თან 2013 წლის 29 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება¹⁷ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ლელვას დასახლებაში მაგისტრარული წყალსადენის ახალი სამარაგო რეზერვუარის მშენებლობის სამუშაოების შესრულების შესახებ. სატენდერო განცხადებითა და გაფორმებული

¹⁶ SPA 130002580

¹⁷ SPA130013468. N134. 29.07.2013

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იყო, შემსყიდველთან შეთანხმებით, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად. აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესაბამისი მოტივირებული დასკვნა და მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გადახდილი 1,2 ათასი ლარი გადახდილია შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• შესყიდვების დაგეგმვა-შესრულება

აუდიტის პერიოდში, ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ხარჯთაღრიცხვაში არსებული უზუსტობების აღმოფხვრის მოტივით, განხორციელებულია ფართო მაშტაბის ცვლილებები. შეცვლილია ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სამუშაოების უმრავლესობა და დამატებულია ახალი სამუშაოები, რაც სახელმწიფო შესყიდვების არასათანადო დაგეგმვა - წარმართვაზე მიუთითებს. ამასთან, რიგ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები არ არის შეთანხმებული პროექტის ავტორთან¹⁸.

¹⁸ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანაბართო პირობების“ 64 -ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

• შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის მიერ, 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტების გაფორმების ვადა და ის ცალკეულ შემთხვევებში 10-დან 20 სამუშაო დღემდე გრძელდება. აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტებში, ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხაზგასმითაა მითითებული, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენა, ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლება.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ ასეთი სახის სამუშაოს ჩატარება, სამუშაო დროის დიდ მოცულობასთან არ არის დაკავშირებული და შესაბამისად ხელშეკრულებით დადგენილ ზემოთ მოყვანილი ვადებთან შეუსაბამოა, რაც შესაძლოა მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების არათავისდროული შესრულების დაფარვის და შესაბამისად პირგასამტეხლოს დარიცხვის თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

• ბიუჯეტის შედგენა - შესრულების მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების (5 ცვლილება) შედეგად, 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები 24430,3 ათასი ლარით განისაზღვრა.

შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

2013 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 25012.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საბიუჯეტო გეგმით განსაზღვრული მოცულობის 102,4 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახაზინო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წელს მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა, 24918,3 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 103,1 პროცენტს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 2013 წელს 11199,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 269,0 ათასი ლარით მეტია და წლიური საბიუჯეტო გეგმის 128,9 პროცენტია. ცალკეული გადასახადის სახეების მიხედვით საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია: საწარმოთა ქონების გადასახადი(გარდა მიწისა) – 155,5 %-ით (გეგმა- 445,5 ათასი ლარი, ფაქტი-692,6 ათასი ლარი); ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი(გარდა მიწისა) – 177,0%-ით (გეგმა- 40,5 ათასი ლარი, ფაქტი- 71,7

